ევროპული სკოლა

ბიბლიოთეკის გზამკვლევი

სარჩევი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკაში....3
1. ბიბლიოთეკა და სკოლის მისია....3
ბიბლიოთეკა და სკოლის მიზნები....3
ბიბლიოთეკის სამუშაო ღირებულებები....4
2. ბიბლიოთეკის გუნდი....4
3. ბიბლიოთეკის სივრცეები და რესურსები....6
მდებარეობა და სამუშაო საათები....6
მრავალენოვანი და მრავალკულტურული ფონდი....7
საერთო წესები....7
უსაფრთხო და მეგობრული გარემო....7
ფონდის მაჩვენებლები....8
4. ბიბლიოთეკა სასწავლო პროცესში....8
5. ტექნოლოგიები და ონლაინ სერვისები....10
6. ბიბლიოთეკის წესები და პროცედურები....10
წიგნების გატანის წესი....10
აკადემიური კეთილსინდისიერება....12
ფონდის განახლების წესი....15
ენობრივი მხარდაჭერა....15
ციფრული და ხელოვნური ინტელექტის რესურსების გამოყენების წესი....16
სკოლის მონათესავე დოკუმენტები....16
7. ღონისძიებები და საზოგადოებრივი ჩართულობა....16
მუდმივი ღონისძიებები....17
წლის განმავლობაში....18
8. მშობლებისა და ოჯახებისთვის....18
9. ბიბლიოთეკით სარგებლობა სახლიდან....19
10. ბიბლიოთეკასთან კავშირი....20
11. ტერმინთა განმარტება....21
პროგრამები და საფეხურები....21
აკადემიური კეთილსინდისიერება....21
ბიბლიოთეკა და რესურსები....22
12. გამოყენებული ლიტერატურა....23

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკაში

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკაში. მიუხედავად იმისა, თქვენ ხართ მოსწავლე, რომელიც ჩვენთან პირველ სასწავლო წელს იწყებს, მშობელი, რომელიც მხარს უჭერს შვილის საგანმანათლებლო წინსვლას, თუ ჩვენი სასკოლო საზოგადოების არსებული წევრი, ეს სახელმძღვანელო დაგეხმარებათ, უკეთ გაეცნოთ ბიბლიოთეკის შესაძლებლობებს და მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოთ მისი რესურსები. ჩვენი ბიბლიოთეკა მხოლოდ წიგნების გაცემის ადგილი არ არის. ეს არის კითხვის, კვლევის, მეცადინეობისა და ახალი აღმოჩენების სივრცე, სადაც ბიბლიოთეკარების პროფესიონალური გუნდი მუდამ მზადაა, დაგეხმაროთ საჭირო მასალის მოძიებაში. წინამდებარე გზამკვლევი დეტალურად განგიმარტავთ, თუ სად მდებარეობს ჩვენი ბიბლიოთეკები, როგორია მათი სამუშაო განრიგი, როგორ ხდება წიგნების გატანა, რას ველოდებით ჩვენი მკითხველებისგან და როგორ ვუჭერთ მხარს კეთილსინდისიერ, დამოუკიდებლად სწავლებას. ეს სახელმძღვანელო ვრცელდება სკოლის ყველა ბიბლიოთეკაზე და ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მოსწავლეზე: საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) დაწყებით (PYP), საბაზო (MYP), სადიპლომო (DP) და კარიერულ (CP) პროგრამებზე, ამერიკულ უმაღლეს სკოლასა (ASAS) და ქართულ პროგრამაზე. სახელმძღვანელოს თავიდან ბოლომდე წაკითხვა აუცილებელი არ არის. საჭირო ინფორმაციის სწრაფად მოსაძებნად გამოიყენეთ სარჩევი, ხოლო უცნობი ტერმინებისთვის მიმართეთ ბოლოში მოცემულ ტერმინთა განმარტებას (გლოსარიუმს). გახსოვდეთ, რომ დახმარებისთვის ყოველთვის შეგიძლიათ მიმართოთ ბიბლიოთეკარს.

1. ბიბლიოთეკა და სკოლის მისია

„ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკა არსებობს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს სკოლის მისიისა და ხედვის განხორციელებას. სკოლა უზრუნველყოფს განსაკუთრებულ განათლებას მზრუნველ და აკადემიურად საინტერესო, გამოწვევებით აღსავსე გარემოში; იგი შთააგონებს თითოეულ მოსწავლეს, მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და ჩამოყალიბდეს ქმედითუნარიან, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე გლობალურ მოქალაქედ (ევროპული სკოლა, „სკოლის მისია“). ბიბლიოთეკა წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ სივრცეს, სადაც აღნიშნული მისია ყოველდღიურად ხორციელდება პრაქტიკაში.სკოლის ოთხი ძირითადი ღირებულება — ლიდერობა ინოვაციების მეშვეობით, სწრაფვა სრულყოფილებისკენ, განვითარება სწავლის საშუალებით და გლობალური მოქალაქეობის ხელშეწყობა — განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ყოველდღიურ საქმიანობას (ევროპული სკოლა, „სკოლის მისია“). ბიბლიოთეკა ამ ღირებულებებს აცოცხლებს მდიდარი, მრავალენოვანი წიგნების ფონდის შექმნით, კვლევისა და აკადემიური კეთილსინდისიერების იმ უნარების სწავლებით, რომლებიც საფუძვლად უდევს საგანმანათლებლო სრულყოფილებას, და ისეთი მეგობრული გარემოს უზრუნველყოფით, სადაც დამოუკიდებელი სწავლა და კითხვის სიყვარული ვითარდება.

ბიბლიოთეკა და სკოლის მიზნები

- **გლობალური მოქალაქეობისა და ინტერკულტურული სწავლის ხელშეწყობა.** მრავალენოვანი ფონდის, კულტურული ღონისძიებების (მაგალითად, მშობლიური ენის საერთაშორისო დღე) და სხვადასხვა კულტურისა და მსოფლმხედველობის შესაბამისი რესურსების საშუალებით, ბიბლიოთეკა ეხმარება მოსწავლეებს, გახდნენ გლობალურად ინფორმირებულნი, დააფასონ მრავალფეროვნება და გაიაზრონ, თუ როგორ მუშაობს სამყარო, ანუ განივითარონ ის თვისებები, რომლებსაც სკოლა გლობალურ მოქალაქეობასა და ინტერკულტურულ სწავლებას უკავშირებს.

- **მაღალხარისხიანი სწავლა-სწავლების მხარდაჭერა.** ბიბლიოთეკა ეხმარება მოსწავლეებს, დაეყრდნონ წინარე ცოდნას, გააანალიზონ პასუხისმგებლობა საკუთარ ნამუშევარზე, დასვან შეკითხვები და განივითარონ ცნობისმოყვარეობა და კვლევითი ინტერესი. მასწავლებლებთან ერთად ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს იმ რესურსებსა და კვლევითი უნარების განვითრებას, რომლებზეც უშუალოდაა დამოკიდებული მაღალხარისხიანი სასწავლო პროცესი.
- **ციფრული მოქალაქეობის განვითარება.** ციფრული წიგნიერების სწავლების, ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების ინსტრუქციებისა და კონფიდენციალურობის, სანდოობისა და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცოდნის გაზიარებით, ბიბლიოთეკა ეხმარება მოსწავლეებს, ციფრულ სამყაროსთან ურთიერთობა ააგონ უსაფრთხოდ, ეთიკურად და პასუხისმგებლობით.
- **სრულყოფილებისკენ სწრაფვა კეთილსინდისიერებით.**ყველა პროგრამაში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სათანადო ციტირების წესების სწავლებით ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო წარმატება დაეფუძნოს პატიოსან და ორიგინალურ ნამუშევარს (ევროპული სკოლა, „განმარტებები“).

ბიბლიოთეკის საქმიანობას წარმართავს სკოლის მიერ შემუშავებული გლობალური მოქალაქეობის, ინტერკულტურული სწავლის, მაღალხარისხიანი სწავლა-სწავლებისა და ციფრული მოქალაქეობის სრული განმარტებები, რომლებიც ხელმისაწვდომია [სკოლის ვებგვერდზე](#).

ბიბლიოთეკის ღირებულებები

ყოველდღიურ საქმიანობაში ბიბლიოთეკა ოთხ ღირებულებას ეყრდნობა (ევროპული სკოლა, ბიბლიოთეკის წესდება):

- **ინკლუზიურობა:** მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და კულტურული წარმომავლობის მიღება და მხარდაჭერა.
- **კეთილსინდისიერება:** ეთიკური პრაქტიკის დაცვა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაში.
- **თანამშრომლობა:** პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და ფართო საზოგადოებასთან პარტნიორობა სასწავლო პროცესის გასამდიდრებლად.
- **ინოვაცია:** ტექნოლოგიებისა და თანამედროვე მეთოდების ეფექტიანი გამოყენება გამორჩეული სერვისების მისაწოდებლად.

ოთხივე ღირებულებას საფუძვლად უდევს მარტივი ვალდებულება: ბიბლიოთეკა უსაფრთხო და ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სივრცეა და აქ ყველა მოსწავლე მისასალმებელია.

2. ბიბლიოთეკის გუნდი

„ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკა წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც მოქმედებს სკოლის ხელმძღვანელი მმართველი გუნდის დაქვემდებარებაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის წესდებისა და შიდა რეგულაციების (მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკისა და მოქმედი ენობრივი ჩარჩოს) სრული დაცვით. ბიბლიოთეკის უფლებამოსილებები ამომწურავად არის განსაზღვრული „ევროპული სკოლის ბიბლიოთეკის დებულებით“ (ევროპული სკოლა, ბიბლიოთეკის წესდება).ბიბლიოთეკის გუნდი შედგება: ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, ხელმძღვანელის მოადგილის, საბაზო და საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკარისა და დაწყებითი საფეხურის ბიბლიოთეკარისგან. დაწყებითი

საფეხურის მომსახურება ხორციელდება შენობა A-ში მდებარე ორ სივრცეში, რომლებიც ემსახურება ქვედა და ზედა დაწყებით კლასებს და ღიაა ყველა დაწყებითი საფეხურის მოსწავლისთვის. საბაზო და საშუალო საფეხურის მომსახურება მოიცავს საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამებს შენობა B-ში და ამერიკულ (ASAS) და ქართულ პროგრამებს შენობა C-ში.

აღნიშნული ოთხი პოზიცია და მათი პასუხისმგებლობები დადგენილია დებულებით (ევროპული სკოლა, ბიბლიოთეკის წესდება):

პოზიცია	ძირითადი მოვალეობები
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი	წარმართავს ბიბლიოთეკის სტრატეგიასა და ოპერაციებს, განკარგავს ბიუჯეტს, შეიმუშავებს და გადახედავს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკას, ასწავლის კვლევისა და ციტირების უნარებს და თანამშრომლობს სკოლის ხელმძღვანელობასა და მშობლებთან.
ხელმძღვანელის მოადგილე	უზრუნველყოფს ყოველდღიურ მართვას, კოორდინაციას უწევს კატალოგიზაციასა და წიგნების მიმოქცევას, მხარს უჭერს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას და მოქმედებს როგორც დამაკავშირებელი რგოლი ბიბლიოთეკის პერსონალსა და ხელმძღვანელს შორის.
საბაზო და საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკარი	აკომპლექტებს რესურსებს VI–XII კლასებისთვის, ატარებს აკადემიური კეთილსინდისიერების სესიებს, ეხმარება მოსწავლეებს მასალების მოძიებასა და გამოყენებაში და თანამშრომლობს სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან.
დაწყებითი საფეხურის ბიბლიოთეკარი	ხელს უწყობს აღრეულ წიგნიერებას წიგნის ხმამაღლა კითხვის საათების, წიგნის კვირეულისა და წიგნის კლუბების მეშვეობით, აკომპლექტებს რესურსებს I–V კლასებისთვის და მჭიდროდ თანამშრომლობს პედაგოგებთან და მშობლებთან.

ანგარიშვალდებულება. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ სკოლის უფროსი მმართველი გუნდის წინაშე. ბიბლიოთეკის წარმატების შესაფასებლად გამოიყენება რეგულარული შეფასებები, სტატისტიკური მონაცემები და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი.

3. ბიბლიოთეკის სივრცეები და რესურსები

მდებარეობა და სამუშაო საათები

„ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკა ემსახურება მთელ სასკოლო საზოგადოებას რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული სივრცის მეშვეობით. ყველა ბიბლიოთეკა ღიაა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 9:00-დან 17:00 საათამდე.

იპოვე შენი ბიბლიოთეკა · ორშაბათი–პარასკევი, 9:00–17:00

I–II კლასები
შენობა A · მე-4 სართული
დაწყებითი საფეხურის ბიბლიოთეკა

III–V კლასები
შენობა A · მე-6 სართული
დაწყებითი საფეხურის ბიბლიოთეკა

VI–XII კლასები
შენობა B · მე-5 სართული
MYP, DP და CP

VI–XII კლასები
შენობა C · მე-5 სართული
ASAS და ქართული პროგრამა

დაწყებითი საფეხურის ყველა მოსწავლეს შეუძლია ორივე სივრცით სარგებლობა.

დაწყებითი საფეხურის ბიბლიოთეკა (I–V კლასები). შენობა A-ს მე-4 სართულის ბიბლიოთეკა ძირითადად ემსახურება I და II კლასებს. შენობა A-ს მე-6 სართულის ბიბლიოთეკა ემსახურება III–V კლასებს. დაწყებითი საფეხურის ყველა მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს ორივე სივრცით.

საბაზო და საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკა (VI–XII კლასები). შენობა B-ს (მე-5 სართული) ბიბლიოთეკა ემსახურება საერთაშორისო ბაკალავრიატის საბაზო (MYP), სადიპლომო (DP) და კარიერული (CP) პროგრამების მოსწავლეებს. შენობა C-ს (მე-5 სართული) ბიბლიოთეკა ემსახურება ამერიკული უმაღლესი სკოლისა (ASAS) და ქართული ეროვნული პროგრამის მოსწავლეებს.

თითოეული ბიბლიოთეკა გთავაზობთ სივრცეს ჯგუფური მუშაობისთვის, კომპიუტერებით სარგებლობისა და ინდივიდუალური მშვიდი მეცადინეობისთვის; ამასთან, თითოეული სივრცე ადვილად გარდაიქმნება საპრეზენტაციო არენად, რომელიც 50-მდე ადამიანს იტევს. საბაზო და საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკაში ასევე განთავსებულია ჭადრაკის მოთამაშე რობოტი, რომელიც მოსწავლეებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ბეჭდურ ფონდთან ერთად, მოსწავლეებს აქვთ სრული წვდომა წამყვან საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე.

მრავალენოვანი და მრავალკულტურული ფონდი

„ევროპული სკოლა“ საერთაშორისო საზოგადოებაა და ბიბლიოთეკის ფონდი ამ მრავალფეროვნებას ასახავს. საბაზო და საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკაში დაცულია დაახლოებით 10 000 ბეჭდური რესურსი, დაწყებითი საფეხურის ბიბლიოთეკაში კი დაახლოებით 4 000 წიგნი ინგლისურ, ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, ბერძნულ და სპარსულ ენებზე, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოსწავლეთა მშობლიურ ენებზეა.

ეს მრავალენოვანი ფონდი მხოლოდ სასწავლო კურსებს როდი უჭერს მხარს. იგი საშუალებას აძლევს თითოეულ მკითხველს, იპოვოს წიგნი მისთვის ყველაზე ახლობელ ენაზე, ეხმარება მოსწავლეებს მშობლიური ენის შენარჩუნებასა და განვითარებაში ინგლისურენოვანი სწავლების პარალელურად და იწვევს მთელ სასკოლო საზოგადოებას, აღმოაჩინოს ახალი იდეები და პერსპექტივები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. თემატური გამოფენების, მრავალენოვანი ღონისძიებებისა (მაგალითად, მშობლიური ენის საერთაშორისო დღე) და ენების კათედრებთან მჭიდრო კავშირის მეშვეობით, ბიბლიოთეკა კულტურულ მრავალფეროვნებას ყოველდღიური სასკოლო ცხოვრების ცოცხალ ნაწილად აქცევს.

საერთო წესები

ბიბლიოთეკა საერთო სივრცეა და რამდენიმე მარტივი წესი მას ყველასთვის მისაღებს ხდის:

- მოეპყარით წიგნებს, ციფრულ მოწყობილობებსა და ავეჯს ფრთხილად და ნებისმიერი დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ ბიბლიოთეკარს.
- შეინარჩუნეთ სიმშვიდე წყნარი მეცადინეობის ზონებში, ხოლო აქტიური დისკუსიებისთვის გამოიყენეთ ჯგუფური მუშაობის სივრცეები.
- ფონდისა და კომპიუტერების დაცვის მიზნით, ბიბლიოთეკაში საკვებისა და სასმლის შემოტანა დაუშვებელია.
- დროულად დააბრუნეთ ან განაახლეთ წიგნები, რათა სხვა მკითხველებმაც შეძლონ სარგებლობა.
- პატივი ეცით სხვა მკითხველებსა და ბიბლიოთეკის პერსონალს.
- დახმარების საჭიროებისას ყოველთვის მიმართეთ ბიბლიოთეკარს; ჩვენ სწორედ თქვენთვის ვმუშაობთ აქ.

ბიბლიოთეკის ფონდი მუდმივად ახლდება მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან კონსულტაციების საფუძველზე. თუ მოსწავლეს აქვს სურვილი, ბიბლიოთეკაში იხილოს კონკრეტული წიგნი, ავტორი ან თემატიკა, მან აუცილებლად უნდა გაუზიაროს თავისი იდეა ბიბლიოთეკარს.

უსაფრთხო და მეგობრული გარემო

> ბიბლიოთეკა სამუშაო საათების განმავლობაში სრულად არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური პერსონალით, ხოლო სივრცეში მოსწავლეების ყოფნისას, იქ მუდამ იმყოფება ბიბლიოთეკარი. ჩვენ სიხარულით ველოდებით მოსწავლეებს გაკვეთილებიდან თავისუფალ დროსაც, მიუხედავად იმისა, ისინი მეცადინეობენ, კითხულობენ თუ უბრალოდ მშვიდ გარემოს ეძებენ. ბიბლიოთეკაში შემოსასვლელად განსაკუთრებული მიზეზი არ გჭირდებათ.თუ მოსწავლე თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს, დაბნეულია, უხერხულ სიტუაციაშია ან შეუძლოდ გახდა, მას შეუძლია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიბლიოთეკარს. ბიბლიოთეკარი მყისიერად იმოქმედებს, დაეხმარება პირადად ან პროცესში ჩართავს შესაბამის უფლებამოსილ პირს. ბავშვს არასოდეს მოუწევს იმაზე ნერვიულობა, თუ ვის მიმართოს პირველად. ბიბლიოთეკის გუნდი მოქმედებს სკოლის „ბავშვთა დაცვის პოლიტიკისა“ და უსაფრთხოებისა და ქცევის დადგენილი პროცედურების სრული დაცვით (ევროპული სკოლა, ბავშვთა დაცვის პოლიტიკა). ბიბლიოთეკაში კითხვა არ არის მხოლოდ სასკოლო დავალებების შესასრულებელი ვალდებულება. ჩვენ ყოველთვის მოვუწოდებთ

> მოსწავლეებს, გაიტანონ და წაიკითხონ ის, რაც მათ პირადად აინტერესებთ ჩვენს ფონდში არსებულ ნებისმიერ ენაზე და თამამად სთხოვონ ბიბლიოთეკარებს რეკომენდაციები. ხშირად, საუკეთესო წიგნებს, რომლებსაც ბავშვი სკოლის პერიოდში აღმოაჩენს, საერთო არაფერი აქვს მის მიმდინარე აკადემიურ დავალებებთან.

ფონდის მაჩვენებლები

- **მთლიანი ფონდი:** 14 000 ერთეული, აქედან დაახლოებით 10 000 საბაზო და საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკაში და 4 000 დაწყებითი საფეხურის ბიბლიოთეკაში.
- **ენები:** ინგლისური, ქართული, რუსული, გერმანული, ფრანგული, ესპანური, ბერძნული და სპარსული.
- **ციფრული გამოწერები:** ონლაინ მონაცემთა ბაზებისა და რესურსების სპექტრი ყველა საფეხურისთვის.
- **მრავალენოვანი მასალები:** ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი მოსწავლეთა მშობლიურ ენებზეა.

4. ბიბლიოთეკა სასწავლო პროცესში

მოსწავლეები ბიბლიოთეკას რეგულარულად სტუმრობენ და ეს მხოლოდ წიგნების გატანით არ შემოიფარგლება. ბიბლიოთეკარები თავად არიან საგანმანათლებლო პროცესის სრულუფლებიანი მონაწილეები, ხოლო ბიბლიოთეკაში მიმდინარე აქტივობები სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია და არა დამატებითი, არჩევითი კომპონენტი.

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებისთვის ტარდება ყოველკვირეული საბიბლიოთეკო საათები. ქართულ პროგრამაში ეს კომპონენტი წარმოდგენილია „კითხვის საათის“ სახით, რომელიც ეფუძნება სკოლის ხელმძღვანელობასა და პედაგოგებთან თანამშრომლობით შემუშავებულ კურიკულუმს და მასში ინტეგრირებულია ბეჭდური ტექსტები, ციფრული ინსტრუმენტები და ინტერაქტიული დაფები. საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებით პროგრამაში (PYP) აღნიშნული აქტივობა ხორციელდება „ბიბლიოთეკის საათის“ ფარგლებში, რაც მოიცავს კითხვის პრაქტიკას, წიგნების საჯარო კითხვასა და განხილვას (Storytime), ავტორებისა და ნაწარმოებების გაცნობას, კვლევითი და წერითი უნარების განვითარებას და დამოუკიდებელი კითხვის ჩვევის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესი დიფერენცირებულია; ეს უზრუნველყოფს როგორც თავდაჯერებული, დამოუკიდებელი მკითხველების, ისე იმ მოსწავლეების თანაბარ ჩართულობასა და აკადემიურ პროგრესს, რომლებსაც კითხვისას დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროებათ.

როდესაც მოსწავლეები მუშაობენ კვლევით დავალებებზე ან პროექტებზე, ბიბლიოთეკის გუნდი მათ აქტიურ მხარდაჭერას უწევს შესაბამისი რესურსების მოძიებაში. დაწყებით საფეხურზე ეს პროცესი მჭიდროდ უკავშირდება PYP-ის გამოფენას (Exhibition), რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სწავლობენ წყაროების მოძიებას, მათი სანდოობის შეფასებასა და აკადემიურად მართებულ გამოყენებას; ბიბლიოთეკა ასევე მასპინძლობს მოწვეულ ექსპერტებსა და სპიკერებს მოსწავლეთა საკვლევ თემებთან დაკავშირებით. საბაზო და საშუალო საფეხურზე ანალოგიური მხარდაჭერა გრძელდება MYP-ის პროექტების (Personal Project / Community Project) და სადიპლომო პროგრამის (DP) კურსების ფარგლებში.

სასწავლო საფეხურების მატებასთან ერთად, მოსწავლეები გადიან სტრუქტურირებულ სწავლებას აკადემიური კეთილსინდისიერების, კვლევის მეთოდოლოგიებისა და MLA სტილის ციტირების წესების შესახებ. აღნიშნული სესიები წინასწარ იგეგმება პროგრამების კოორდინატორებთან თანამშრომლობით, რათა მოსწავლეებმა საჭირო ცოდნა და უნარები უშუალოდ კვლევითი სამუშაოების დაწყებისას მიიღონ. შესაბამისად, VI კლასის მოსწავლე და სადიპლომო პროგრამის (DP) კანდიდატი კვლევის ერთსა და იმავე ფუნდამენტურ პრინციპებს საკუთარ ასაკსა და აკადემიურ საჭიროებებზე ადაპტირებული ფორმით ეცნობა.

მთელი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკარები ასწავლიან მოსწავლეებს აკადემიურ მონაცემთა ბაზებში ძიებას, ინტერნეტ-რესურსების კრიტიკულ შეფასებას, დეზინფორმაციის ამოცნობასა და ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკურ და კეთილსინდისიერ გამოყენებას. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა მუდმივად სთავაზობს სასკოლო საზოგადოებას ისეთ ტექნიკურ სერვისებს, როგორებიცაა ბეჭდვა, სკანირება და წიგნების მოძიებაში პრაქტიკული დახმარება.



დროთა განმავლობაში ეს ცოდნა იკრიბება და მყარდება. ბიბლიოთეკის დახმარებით მოსწავლეებს უყალიბდებათ უნარი, იკითხონ თავისუფლად და სიამოვნებით, მოიძიონ ინფორმაცია და შეაფასონ მისი სანდოობა, დასვან მკაფიო შეკითხვა და გასცენ პასუხი მტკიცებულებებზე დაყრდნობით, კეთილსინდისიერად გამოიყენონ სხვისი ნამუშევარი, კრიტიკული თვალით შეაფასონ ციფრული ინსტრუმენტები და იცოდნენ, როდის და როგორ სთხოვონ დახმარება პროფესიონალს. ეს სწორედ ის ჩვევებია, რომლებიც მათ უნივერსიტეტსა და შემდგომ ცხოვრებაში გაჰყვებათ.

5. ტექნოლოგიები და ონლაინ სერვისები

ბიბლიოთეკა აქტიურად იყენებს საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს რესურსების ხელმისაწვდომობის, სწავლის ხარისხისა და ჩართულობის გასაძლიერებლად:

- **Follett Destiny:** ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი მრავალენოვანი ძიების ფუნქციით. მოსწავლეებსა და პერსონალს შეუძლიათ მარტივად დაჯავშნონ წიგნები და გაეცნონ ციფრულ ფონდს პლატფორმა Destiny Discover-ის მეშვეობით.
- **ბიბლიოთეკის ონლაინ პორტალი:** ბიბლიოთეკის ვებგვერდი (esonlinelibrary.com) 24/7 რეჟიმში უზრუნველყოფს წვდომას ციფრულ რესურსებზე, კვლევის სახელმძღვანელოებზე, ახალ შენაძენებზე, მიმდინარე ღონისძიებებსა და ინტერაქტიულ ხელსაწყოებზე.
- **ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია:** ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ბიბლიოთეკა ატარებს პრაქტიკულ სემინარებსა და ტრენინგებს. აღნიშნული სესიები ფოკუსირებულია წყაროების მართებულ

ციტირებაზე, იდეების გენერირებასა (Brainstorming) და AI-ის მიერ შექმნილი კონტენტის კრიტიკულ შეფასებაზე.

- **ციფრული წიგნიერების პროგრამები:** წლის განმავლობაში ბიბლიოთეკარები რეგულარულად უძღვებიან სესიებს სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ნავიგაციის, ონლაინ წყაროების სანდოობის შეფასებისა და მანიპულაციური ინფორმაციის ამოცნობის შესახებ. ეს მოსწავლეებს ეხმარება მყარი, უსაფრთხო და დამოუკიდებელი კვლევითი ჩვევების ჩამოყალიბებაში.

6. ბიბლიოთეკის წესები და პროცედურები

„ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკა მოქმედებს მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილებას, ეთიკურ აკადემიურ პრაქტიკასა და ყველასთვის თანაბრად ხელშემწყობ სასავლო გარემოს.

წიგნების გატანის წესი

წიგნის გატანის პოლიტიკა თითოეულ მოსწავლეს აძლევს ბიბლიოთეკის რესურსებზე სამართლიან და თანაბარ წვდომას და ამავდროულად უზრუნველყოფს ფონდის იდეალურ შენარჩუნებას. ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანა სრულიად უფასოა.

წიგნის გატანის წესები მოკლედ

5	14	1	0
წიგნი ერთდროულად	დღით	განახლება	ჯარიმა

საერთაშორისო ბაკალავრიატისა და ამერიკული უმაღლესი სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სახელმძღვანელოები ერთი წლის ვადით უსასყიდლოდ გადაეცემათ.

საცნობარო გამოცემები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, იშვიათი წიგნები და ერთადერთი ეგზემპლარები ბიბლიოთეკიდან გატანას არ ექვემდებარება.

როგორ გავიტანოთ წიგნი. მიიტანეთ სასურველი ერთეულები ბიბლიოთეკის მიმღებთან, სადაც ბიბლიოთეკარი მათ თქვენს ანგარიშზე გაატარებს. წიგნები გაიცემა მოსწავლის ჩანაწერის საფუძველზე, ამიტომ ცალკე ბიბლიოთეკის ბარათი საჭირო არ არის.

მომხმარებელი	მასალა	გატანის ვადა	განახლება	ლიმიტი
მოსწავლეები	ზოგადი ფონდი	14 დღე	1 განახლება	ერთდროულად 5 ერთეულამდე
პედაგოგები და თანამშრომლები	სასწავლო რესურსები	გახანგრძლივებული, საჭიროებისამებრ	საჭიროებისამებრ	მაღალი მოთხოვნის ერთეულებს შესაძლოა ჰქონდეს შემოკლებული ვადა

ერთეულები, რომლებიც არ გაიცემა. ზოგიერთი მასალა მუდმივად უნდა იმყოფებოდეს ბიბლიოთეკაში, რათა ნებისმიერ მომენტში ხელმისაწვდომი იყოს მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. ესენია საცნობარო გამოცემები (ლექსიკონები, ენციკლოპედიები), იშვიათი ან განსაკუთრებული მატერიალური/აკადემიური ღირებულების მქონე წიგნები, აგრეთვე ნებისმიერი გამოცემა, რომლის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია დაცული ბიბლიოთეკაში. მათი გამოყენება თავისუფლად შეიძლება ბიბლიოთეკის შიგნით, სამკითხველო დარბაზში, თუმცა სახლში გატანა დაუშვებელია.

წიგნის განახლება. თუ წიგნი უფრო ხანგრძლივი ვადით გჭირდებათ, შეგიძლიათ ისარგებლოთ ერთჯერადი განახლების უფლებით, იმ პირობით, თუ აღნიშნული წიგნი სხვა მკითხველს არ აქვს დაჯავშნილი. განახლებისთვის მიმართეთ ბიბლიოთეკარს დაბრუნების ვადის ამოწურვამდე.

წიგნის დაბრუნება. დააბრუნეთ ერთეულები ბიბლიოთეკის მიმღებთან დაბრუნების ვადამდე ან ვადაში, რათა სხვებმაც შეძლონ მათი გამოყენება.

სახელმძღვანელოების გაცემის წესი (სასწავლო წლის ვადით) IB და ASAS პროგრამები (საერთაშორისო): საერთაშორისო ბაკალავრიატისა (IB) და ამერიკული უმაღლესი სკოლის (ASAS) საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს საჭირო სახელმძღვანელოები სასწავლო წლის დასაწყისში უსასყიდლოდ გადაეცემათ. კონკრეტული კურსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოები შეიძლება მიეწოდოთ როგორც ბეჭდური წიგნების, ისე ელექტრონული ფორმატით. ვინაიდან აღნიშნული სპეციფიკური საერთაშორისო ლიტერატურის თავისუფლად შეძენა საქართველოში შეუძლებელია, ამ პროცესს უშუალოდ ბიბლიოთეკა მართავს. ბეჭდური წიგნები გაიცემა საბიბლიოთეკო ფონდიდან ან ხელმისაწვდომია სკოლის მაღაზიაში.

ქართული ეროვნული პროგრამა: ქართული ეროვნული პროგრამის მოსწავლეები სასწავლო სახელმძღვანელოებს იძენენ დამოუკიდებლად, ქვეყანაში მიღებული საერთო პრაქტიკის შესაბამისად. ვინაიდან ამ წიგნებს ოჯახები თავად ყიდულობენ, ისინი მოსწავლის საკუთრებაა და სასწავლო წლის ბოლოს ბიბლიოთეკაში დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მოვლისა და დაბრუნების წესები (მხოლოდ IB და ASAS-ის ბეჭდური წიგნებისთვის): ბიბლიოთეკის მიერ გაცემული ბეჭდური სახელმძღვანელოები განკუთვნილია მხოლოდ მიმდინარე სასწავლო წლისთვის და მოსწავლეებმა ისინი ბიბლიოთეკაში უნდა დააბრუნონ სასწავლო წლის ბოლოს. აღნიშნულ წიგნებს უნდა მოეპყრათ იმავე სიფრთხილით, როგორც ბიბლიოთეკის ნებისმიერ სხვა წიგნს. ისინი უნდა ჩაბარდეს კარგ მდგომარეობაში, რათა შესაძლებელი იყოს მათი მომავალ მოსწავლეებზე ხელახლა გაცემა.

ვადის დარღვევა. თუ წიგნის გატანის ვადა ამოიწურა, შესაძლოა გთხოვოთ მისი დაბრუნება ახალი ლიტერატურის გატანამდე, რათა რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი დარჩეს ყველა მკითხველისთვის. ჩვენ უბრალოდ გთხოვთ, დააბრუნოთ წიგნები ოპერატიულად, ან განაახლოთ ისინი, თუ დამატებითი დრო გჭირდებათ.

დაკარგული ან დაზიანებული ერთეულები. თუ გატანილი წიგნი ან სახელმძღვანელო დაიკარგა, ან დაბრუნდა ისე დაზიანებული, რომ მისი შემდგომი გამოყენება შეუძლებელია (ბუნებრივი ცვეთის ფარგლებს გარეთ), იგი უნდა ჩანაცვლდეს ან ანაზღაურდეს ფონდის პირვანდელი სახით შენარჩუნების მიზნით. ბიბლიოთეკარი მოგაწვდით ინფორმაციას ჩანაცვლების ღირებულების შესახებ ან დაგეხმარებათ იდენტური წიგნის მოძიებაში. თუ ფიქრობთ, რომ წიგნი დაგეკარგათ ან დაგიზიანდათ, გთხოვთ, რაც შეიძლება აღრე მიმართოთ ბიბლიოთეკარს. ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით დაგეხმარებით ამ საკითხის მოგვარებაში.

აკადემიური კეთილსინდისიერება

აკადემიური კეთილსინდისიერება ნიშნავს საკუთარი, ორიგინალური და პატიოსანი ნამუშევრის შესრულებას და სხვების იდეებისა თუ შრომის სათანადო აღიარებასა და დამოწმებას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვევა, რომელსაც სკოლის პერიოდში გამოიმუშავებთ და რომელიც უცვლელად გამოგყვებათ უნივერსიტეტსა თუ შემდგომ პროფესიულ კარიერაში. როდესაც კეთილსინდისიერად მოქმედებთ, გარშემომყოფებს აქვთ სრული ნდობა, რომ თქვენ მიერ წარდგენილი ნამუშევარი ნამდვილად თქვენს ინტელექტუალურ შრომას ასახავს. „ევროპული სკოლის“ მიდგომა ეფუძნება აკადემიური კეთილსინდისიერების ხუთ ფუნდამენტურ ღირებულებას: პატიოსნება, ნდობა, სამართლიანობა, პატივისცემა და პასუხისმგებლობა (ევროპული სკოლა, აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა). პრაქტიკაში ისინი ნიშნავს:

- **პატიოსნება** – სიმართლის თქმა საკუთარ ნამუშევარზე.
- **ნდობა** – სხვების რწმენა იმისა, რასაც ამბობთ და წარადგენთ.
- **სამართლიანობა** – საკუთარი თავის მიმართ იმავე მოთხოვნების წაყენება, რასაც სხვებს უყენებთ.
- **პატივისცემა** – სხვისი იდეებისა და შრომის სათანადო აღიარება.
- **პასუხისმგებლობა** – საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება და რეაგირება, როცა რაღაც არასწორია.

ბიბლიოთეკა ეხმარება თითოეულ მოსწავლეს ამ ღირებულებების გააზრებასა და ყოველდღიურ პრაქტიკაში დანერგვაში სპეციალური სწავლებების, საინფორმაციო რესურსებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით.



რა ითვლება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად?

სკოლის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა დეტალურად აღწერს არაკეთილსინდისიერი ქცევის (აკადემიური გადაცდომის) რამდენიმე სახეს, რომლებიც ქვემოთ მარტივი ტერმინებითაა განმარტებული (ევროპული სკოლა, აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა):

- **პლაგიატი:** სხვისი სიტყვების, იდეების ან ნამუშევრის საკუთრად გასაღება და წარმოდგენა. ეს მოიცავს ინფორმაციის პირდაპირ კოპირებას წიგნიდან, ვებგვერდიდან ან სხვა მოსწავლის დავალებიდან, აგრეთვე ნათარგმნი ტექსტის გამოყენებას ორიგინალური წყაროს მითითების გარეშე.
- **უნებართვო თანამშრომლობა (კოლუზია):** სხვა მოსწავლისთვის საკუთარი ნამუშევრის გადაწერის (კოპირების) უფლების მიცემა, ან სხვისი დავალების ანალოგიური კოპირება. ერთობლივი მუშაობა სრულიად მისაღებია მაშინ, როდესაც ამის ნებას თავად პედაგოგი იძლევა, თუმცა საბოლოო ნამუშევარი, რომელსაც აბარებთ, ექსკლუზიურად თქვენი შესრულებული უნდა იყოს.
- **დუბლირება (გამეორება):** ერთი და იმავე ნაშრომის ან დავალების წარდგენა ორი სხვადასხვა სასწავლო კომპონენტის/საგნის შესაფასებლად.
- **ფაბრიკაცია:** მონაცემების, კვლევის შედეგების ან ციფრების გამოგონება (მაგალითად, არარსებული სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემების შეთხზვა).

წყაროების მითითება (ციტირება):ყოველთვის, როდესაც იყენებთ სხვის იდეებს, შეხედულებებს ან ციტატებს, თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ, თუ საიდანაა აღებული ეს ინფორმაცია. სკოლა იყენებს ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის გაფორმების საერთაშორისო MLA სტილს, ბიბლიოთეკა კი ვორქშოფებისა და გზამკვლევების მეშვეობით დეტალურად გასწავლით მის პრაქტიკულ გამოყენებას. აკადემიურად სწორი ციტირება არ არის სასჯელი ან ბიუროკრატიული ტვირთი; ეს არის ერთადერთი გზა, აჩვენოთ თქვენი ნაშრომის უკან მდგარი ინტელექტუალური აზროვნება და მიაგოთ სათანადო პატივი სხვა ავტორების შრომას.

ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების კეთილსინდისიერად გამოყენება: ხელოვნური ინტელექტის პლატფორმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კვლევის საწყის ეტაპზე, ინფორმაციის მოსაძიებლად ან იდეების გენერირების (brainstorming) ხელშესაწყობად, თუმცა მათ არ შეუძლიათ თქვენ ნაცვლად ფიქრი, ანალიზი ან ტექსტის წერა. საერთაშორისო ბაკალავრიატი (IB) კატეგორიულად არ მიიჩნევს AI-ის მიერ გენერირებულ კონტენტს მოსწავლის საკუთარ ნამუშევრად (International Baccalaureate Organization, Academic Integrity Policy). თუ იყენებთ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტს, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ მისი სათანადო ციტირება, სადაც მიუთითებთ ზუსტ მოთხოვნას (prompt), გამოყენებულ პლატფორმასა და თარიღს, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა წყაროს შემთხვევაში. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაბამისი მითითების გარეშე კვალიფიცირდება როგორც აკადემიური გადაცდომა.

რა ხდება, თუ წესი დაირღვა? სკოლა იყენებს სამართლიან, ეტაპობრივ და პროგრესულ სანქციებს, რომლებიც მკაცრდება გადაცდომის განმეორების შემთხვევაში. დაწყებით საფეხურზე (PYP) ნებისმიერი გადაცდომა განიხილება არა დასასჯელად, არამედ განმავითარებლად, მოსწავლესთან ინდივიდუალური საუბრისა და რეფლექსიის გზით. საბაზო საფეხურიდან კი ამოქმედდება მკაფიო, მკაცრი პროგრესული სისტემა: პირველი დარღვევისას, როგორც წესი, ხდება მშობლების ინფორმირება და დავალების ხელახლა წარდგენა; დარღვევის განმეორება კი იწვევს სერიოზულ შედეგებს, მათ შორის ნაშრომის ნულოვან შეფასებას, შეხვედრებს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან და შესაბამისი პროგრამის კოორდინატორთან, აგრეთვე სავალდებულო რეფლექსიურ დავალებებს. დეტალური ინფორმაცია მოცემულია სკოლის „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკაში“.

როგორ შეუძლიათ მშობლებს დახმარება: მშობლები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ამ პროცესში. სკოლის პოლიტიკა მოუწოდებს მშობლებს, დეტალურად გაეცნონ აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს, დაეხმარონ შვილებს მათ დაცვაში და გააცნობიერონ, რომ შვილის ნაცვლად დავალების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება (ან მზა მასალის მიწოდება) თავად წარმოადგენს წესების უხეშ დარღვევას.

საუკეთესო დახმარებაა შვილის წახალისება, შეასრულოს საკუთარი, პატიოსანი შრომა, ხოლო სირთულეების წაწყდომისას დახმარებისთვის მიმართოს ბიბლიოთეკას.

აკადემიური კეთილსინდისიერება მთელი წლის განმავლობაში ისწავლება: კეთილსინდისიერების, ეთიკური კვლევისა და ციტირების ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს უწყვეტად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გაკვეთილების, ვორქშოფების, ასამბლეებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატში. ეს პროცესი კოორდინირებულია პროგრამების ხელმძღვანელებთან, რათა ინფორმაციამ მოსწავლემდე ზუსტად დავალებების დაწყებამდე მიაღწიოს. ყოველწლიური „აკადემიური კეთილსინდისიერების კვირეული" წარმოადგენს სპეციალურ პლატფორმას, რომელიც აერთიანებს მთელ სასკოლო საზოგადოებას სემინარების, მოწვეული ექსპერტებისა და დისკუსიების გარშემო, თუმცა ეს მუშაობა მხოლოდ ამ კვირეულით არ შემოიფარგლება.

სრული წესების, დეტალური განმარტებებისა და ოფიციალური სანქციების სანახავად, გთხოვთ, გაეცნოთ სკოლის „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკას", რომელიც ხელმისაწვდომია წინამდებარე სახელმძღვანელოს პარალელურად.

ფონდის განახლების წესი

ბიბლიოთეკის ფონდი გადის რეგულარულ, სისტემურ გადახედვას, რათა მუდმივად დარჩეს აქტუალური, ზუსტი და აკადემიურ მოთხოვნებთან სრულად შესაბამისი.

ამოღების კრიტერიუმები: მოძველებული/ფაქტობრივად არაზუსტი შინაარსი; ფიზიკურად ისე დაზიანებული მასალები, რომელთა აღდგენაც შეუძლებელია; დაბალი მიმოქცევის (მოთხოვნის) მქონე ერთეულები, რომლებიც აღარ შეესაბამება მიმდინარე სასწავლო გეგმის საჭიროებებს.

პროცესი: საგნობრივი და სპეციფიკური მასალების ფონდიდან ამოღებამდე აუცილებლად ხდება შესაბამისი დარგის პედაგოგებთან კონსულტაცია. ფონდიდან ჩამოწერილი წიგნები ქველმოქმედების სახით გადაეცემა საჭიროების მქონე სკოლებს ან მიეწოდება ქაღალდის გადამამუშავებელ საწარმოებს.

რესურსის გადახედვის მოთხოვნა: სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს უფლება, სთხოვოს ბიბლიოთეკას ფონდში არსებული რომელიმე რესურსის შინაარსობრივი გადახედვა. მოთხოვნის წარდგენა ხდება ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებული სპეციალური ფორმის შევსებით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. თითოეული მოთხოვნა გადის ოფიციალურ, დოკუმენტირებულ პროცედურას, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სკოლის უფროსი მმართველი გუნდი (ევროპული სკოლა, ბიბლიოთეკის წესდება).

ენობრივი მხარდაჭერა

ბიბლიოთეკის საქმიანობა ენების მიმართულებით სრულად შეესაბამება სკოლაში მოქმედ ენობრივ ჩარჩოს და მხარს უჭერს ლინგვისტურ მრავალფეროვნებას შემდეგი მექანიზმებით:

- სპეციალურად შერჩეული და კურირებული ფონდი მრავალ ენაზე (ინგლისური, ქართული, რუსული, გერმანული, ფრანგული, ესპანური, ბერძნული და სპარსული).
- მრავალენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები და კულტურული აქტივობები, როგორიცაა მშობლიური ენის საერთაშორისო დღის ყოველწლიური მასშტაბური აღნიშვნა.

- მიზნობრივი რესურსები მოსწავლეებისთვის, რომლებიც ინგლისურს სწავლობენ როგორც დამატებით ენას (EAL), რაც მოიცავს დონეების მიხედვით ადაპტირებულ საკითხავ ლიტერატურასა (graded readers) და ორენოვან ლექსიკონებს.

ციფრული და ხელოვნური ინტელექტის რესურსების გამოყენების წესი

ბიბლიოთეკა აქტიურად უწყობს ხელს ციფრული ხელსაწყოებისა და AI ტექნოლოგიების პასუხისმგებლიან გამოყენებას სწავლის ხარისხის ასამაღლებლად:

- **AI ინსტრუმენტები:** ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ნებისმიერი შინაარსის, იდეისა თუ ტექსტის სათანადო და ზუსტი ციტირება სავალდებულოა ყველა ტიპის აკადემიურ ნამუშევარში.
- **ციფრული წიგნიერების ტრენინგები:** რეგულარული პრაქტიკული სესიები ინტერნეტწყაროების ვალიდურობის შეფასებისა და ფეიკ-ნიუსების/დეზინფორმაციის ფილტრაციის შესახებ.
- **ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენება:** სპეციალური სემინარები კვლევის პროცესში ციფრული უსაფრთხოების, პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებზე.

სკოლის მონათესავე დოკუმენტები

წინამდებარე სახელმძღვანელო პირდაპირ კავშირშია სკოლის შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტებთან:

- **აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა:** სრული და ამომწურავი წესები ორიგინალური ნამუშევრის, ციტირების სტანდარტების, AI-ის გამოყენებისა და ოფიციალური სანქციების შესახებ.
- **ბავშვთა დაცვის პოლიტიკა:** სკოლის ფუნდამენტური ჩარჩო-დოკუმენტი მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს სკოლის ყოველი თანამშრომელი, მათ შორის ბიბლიოთეკის პერსონალი.
- **ენობრივი დებულებები:** ბიბლიოთეკა მუშაობს სკოლაში მიღებული და მოქმედი ენობრივი ჩარჩოს სრული დაცვით.

7. ღონისძიებები და საზოგადოებრივი ჩართულობა

ბიბლიოთეკა სასკოლო ცხოვრების აქტიური ეპიცენტრია, რომელიც წლის განმავლობაში მასპინძლობს უამრავ საინტერესო ღონისძიებას. ეს აქტივობები მიზნად ისახავს კითხვის პოპულარიზაციას, კულტურული თარიღების აღნიშვნასა და სკოლაში სხვადასხვა სფეროს წამყვანი სტუმრების მოწვევას.

მუდმივი ღონისძიებები

ღონისძიება	რა ხდება	ვისთვის	როდის
წიგნიერების კვირეული	მასშტაბური კითხვის აქტივობები, სასკოლო ასამბლეები და წიგნის დღესასწაული მთელ სკოლაში.	მთელი სასკოლო საზოგადოება	გაზაფხული
აკადემიური კეთილსინდისიერება	კვლევის ეთიკის უწყვეტი სწავლება, პრაქტიკული სემინარები, სასკოლო ასამბლეები და შეხვედრები მოწვეულ სპიკერებთან.	VI–XII კლასები	მთელი წელი
წიგნის ხმამაღლა კითხვის მსოფლიო დღე	წიგნის ერთობლივი, ინტერაქტიული ხმამაღლა კითხვის სესიები ყველა საფეხურზე.	მთელი სასკოლო საზოგადოება	თებერვალი
მშობლიური ენის საერთაშორისო დღე	პოეზიის საღამოები, კულტურული პერფორმანსები, მრავალენოვანი გამოფენები და წიგნის ჩუქების აქცია	მთელი სასკოლო საზოგადოება	21 თებერვალი
წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე	შეხვედრები ავტორებთან, შემოქმედებითი კითხვის სესიები და წერითი კონკურსები მოსწავლეებისთვის.	მთელი სასკოლო საზოგადოება	23 აპრილი
წიგნების გამოფენა-გაყიდვა	წიგნების გაცნობა და შეძენა ადგილობრივ და საერთაშორისო გამომცემლობებთან თანამშრომლობით.	მთელი სასკოლო საზოგადოება	შემოდგომა-გაზაფხული
აქცია „აჩუქე წიგნი“	საყოველთაო სასკოლო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს კითხვის სიყვარულის გაზიარებას, წიგნიერების მხარდაჭერასა და წიგნების გაცვლას ყველა ასწავლებელ ენაზე.	მთელი სასკოლო საზოგადოება	გაზაფხული

წლის განმავლობაში

ამ ძირითადი ღონისძიებების პარალელურად, ბიბლიოთეკა რეგულარულად მასპინძლობს წიგნის კლუბებს, კითხვის მარათონებსა და კონკურსებს, ასევე აწყობს მოსწავლეთა ნამუშევრების თემატურ გამოფენებს. წლის განმავლობაში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ შეხვდნენ მოწვეულ სტუმრებს: მწერლებს, მთარგმნელებს,

გამომცემლებს, სპორტსმენებსა და სხვადასხვა სფეროს საზოგადო მოღვაწეებს. ბიბლიოთეკა ასევე აღნიშნავს და აჯილდოებს მოსწავლეთა მიღწევებს, მათ შორის იმათ, ვინც წლის განმავლობაში განსაკუთრებით აქტიურად იყო ჩართული საბიბლიოთეკო ცხოვრებაში.კონკრეტულ თარიღებსა და მიმდინარე წლის მოწვეულ სტუმართა სიას შეგიძლიათ გაეცნოთ ბიბლიოთეკის ვებგვერდზე, სადაც ასევე განთავსებულია ფოტოგალერეა და ინფორმაცია გასულ წლებში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

8. მშობლებისა და ოჯახებისთვის

მშობლები და ოჯახები ჩვენი საბიბლიოთეკო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. წინამდებარე სივრცეში ჩართვის რამდენიმე ეფექტიანი გზა არსებობს:

- **ეწვიეთ ბიბლიოთეკას:** გელით ბიბლიოთეკის სამუშაო საათებში, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 9:00-დან 17:00 საათამდე.
- **იკითხეთ შვილთან ერთად სახლში:** ხელი შეუწყვეთ სახლში ერთობლივი კითხვის ტრადიციას. ბიბლიოთეკარები სიამოვნებით შეგირჩევენ თქვენი შვილის ასაკის, კითხვის დონისა და ინტერესების შესაბამის წიგნებს რამდენიმე ენაზე და პასუხს გასცემენ ნებისმიერ შეკითხვას.
- **თვალი ადევნეთ კითხვის პროცესს:** გაეცანით, რას კითხულობს თქვენი შვილი ჩვენი ელექტრონული კატალოგის (Destiny Discover) მეშვეობით. სისტემაში მარტივად ნახავთ, თუ რომელი წიგნებია ხელმისაწვდომი ფონდში.
- **მიიღეთ მონაწილეობა საბიბლიოთეკო ღონისძიებებში:** შემოუერთდით ჩვენს მრავალფეროვან აქტივობებს. მშობელთა დილის შეხვედრები და ვებინარები ეთმობა ისეთ აქტუალურ თემებს, როგორებიცაა სახლში კითხვის სტრატეგიები, ციფრული წიგნიერება და ხელოვნური ინტელექტი (AI). გარდა ამისა, ოჯახებს სიხარულით ვუმასპინძლებთ მშობლიური ენის საერთაშორისო დღეზე, წიგნის გამოფენა-გაყიდვასა და სხვა საზეიმო ღონისძიებებზე.
- **შემოგვთავაზეთ ან გადმოგვეცით წიგნი:** თუ არსებობს კონკრეტული გამოცემა, რომლის ხილვაც გსურთ ჩვენს ფონდში, აცნობეთ ბიბლიოთეკარს. გაითვალისწინეთ, რომ საჩუქრად გადმოცემული წიგნები ფასდება იმავე კრიტერიუმებით, რომლებითაც ხდება ახალი ლიტერატურის შეძენა; ბიბლიოთეკა ვერ იღებს ვალდებულებას, ფონდში ავტომატურად დაამატოს ყოველი შემოთავაზებული ერთეული, თუმცა წიგნების ჩუქება მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს რესურსებს, განსაკუთრებით მშობლიურ ენებზე.
- **დაუჭირეთ მხარი აკადემიურ კეთილსინდისიერებას:** წაახალისეთ შვილი, შეასრულოს საკუთარი, დამოუკიდებელი და პატიოსანი ნამუშევარი, ხოლო სირთულეების შემთხვევაში მიმართოს ბიბლიოთეკას. შვილის ნაცვლად დავალების შესრულება სკოლის პოლიტიკის უხეშ დარღვევად ითვლება, ამიტომ ყველაზე სასარგებლო დახმარებაა იმის სწავლება, თუ როგორ მოითხოვოს მან აკადემიური მხარდაჭერა დამოუკიდებლად.
- **გაგვიზიარეთ თქვენი უკუკავშირი:** ჩვენთვის ძვირფასია თქვენი აზრი. შეკითხვები, ინიციატივები და წინადადებები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებული საკონტაქტო ფორმის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

9. ბიბლიოთეკით სარგებლობა სახლიდან

ბიბლიოთეკის მრავალი რესურსი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის კედლებს გარეთაც:

- **ბიბლიოთეკის კატალოგი (Destiny Discover):** ელექტრონული კატალოგი (Destiny Discover): მოძებნეთ სასურველი მასალა მთელ ფონდში სათაურის, ავტორის, თემისა ან საკვანძო სიტყვის მიხედვით. იხილეთ წიგნების ხელმისაწვდომობა რეალურ დროში.
- **ბიბლიოთეკის ვებგვერდი:** ეწვიეთ პლატფორმას esonlinelibrary.com ციფრული რესურსების, საორიენტაციო კვლევის სახელმძღვანელოების, ახალი შემოსული წიგნების და ღონისძიებების სანახავად.
- **ონლაინ მონაცემთა ბაზები:** მოსწავლეებს აქვთ დისტანციური წვდომა წამყვან აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით მონაცემთა ბაზებზე. ავტორიზაციისთვის საჭირო მონაცემების მისაღებად ან ხარვეზების შემთხვევაში, მიმართეთ ბიბლიოთეკარს.

10. ბიბლიოთეკასთან კავშირი

- ელფოსტა: library@europeanschool.ge
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი: esonlinelibrary.com
- მისამართები:
    - A შენობა: ი. სხირტლაძის ქ. №2
    - B შენობა: კ. ქუთათელაძის ქ. №10ა
    - C შენობა: ალ. ყაზბეგის გამზ. №47

    - თბილისი 0177, საქართველო
- ტელეფონი: (032) 239 59 64
- სამუშაო საათები: ორშაბათი–პარასკევი, 9:00–17:00

11. ტერმინთა განმარტება

პროგრამები და საფეხურები

- **PYP (დაწყებითი პროგრამა):** საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა I–V კლასებისთვის, ორიენტირებული კვლევაზე დაფუძნებულ სწავლაზე.
- **MYP (საბაზო პროგრამა):** საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა საბაზო საფეხურისთვის, რომელიც ავითარებს კვლევისა და აზროვნების უნარებს.

- **DP (სადიპლომო პროგრამა):** საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა სკოლის ბოლო ორი წლისთვის, რომელიც IB-ის დიპლომამდე მიჰყავს მოსწავლე.
- **CP (კარიერული პროგრამა):** საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა, რომელიც აკადემიურ სწავლას კარიერასთან დაკავშირებულ სწავლას უთავსებს.
- **IB (საერთაშორისო ბაკალავრიატი):** საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც დგას PYP-ის, MYP-ის, DP-ისა და CP-ის უკან.
- **ASAS (ამერიკული უმაღლესი სკოლა):** სკოლის ამერიკული პროგრამა VI–XII კლასებისთვის.
- **ქართული ეროვნული სასწავლო გეგმა:** საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ეროვნული სასწავლო პროგრამა.
- **IBFY (IB-ის მოსამზადებელი წელი):** X კლასის მოსამზადებელი წელი, რომელიც მოსწავლეებს ამზადებს DP-ისა და CP-ისთვის.

აკადემიური კეთილსინდისიერება

- **აკადემიური კეთილსინდისიერება:** საკუთარი პატიოსანი ნამუშევრის შესრულება და სხვისი ნაშრომის სათანადოდ აღიარება.
- **დარღვევა:** ნებისმიერი ქმედება, რომელიც მოსწავლეს ანიჭებს ან შეიძლება მიანიჭოს უსამართლო უპირატესობა შეფასებისას.
- **პლაგიატი:** სხვისი სიტყვების ან იდეების საკუთრად წარმოდგენა მითითების გარეშე.
- **უნებართვო თანამშრომლობა:** სხვა მოსწავლისთვის არასათანადო დახმარების გაწევა ისეთ ნამუშევარში, რომელიც მისი საკუთარი უნდა იყოს, მაგალითად კოპირების უფლების მიცემა.
- **გამეორება:** ერთი და იმავე ნამუშევრის წარდგენა ერთზე მეტი დავალებისთვის.
- **ფაბრიკაცია:** მონაცემების ან შედეგების გამოგონება.
- **თანამშრომლობა:** ერთად მუშაობა მასწავლებლის მიერ დაშვებული ფორმით; განსხვავდება უნებართვო თანამშრომლობისგან იმით, რომ საბოლოო ნამუშევარი მაინც თქვენი რჩება.
- **ციტირება:** ნამუშევარში მითითება იმის შესახებ, საიდან მოდის იდეა ან ციტატა.
- **წყაროების სია:** ნამუშევრის ბოლოს მოცემული სია, სადაც ჩამოთვლილია ყველა გამოყენებული წყარო.
- **MLA სტილი:** ციტირებისა და წყაროების მითითების ფორმატი, რომელსაც სკოლა იყენებს (Modern Language Association-ის სტილი).
- **Turnitin:** პროგრამა, რომელიც ამოწმებს ნაწერის ორიგინალობას და ეხმარება პლაგიატის აღმოჩენაში.

ბიბლიოთეკა და რესურსები

- **Follett Destiny / Destiny Discover:** ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, რომელიც გამოიყენება წიგნებისა და ციფრული რესურსების მოსაძებნად და დასაჯავშნად.
- **კატალოგი:** ბიბლიოთეკის მთელი ფონდის საძიებო სია.

- **დაჯავშნა:** მოთხოვნა, რომ წიგნი თქვენთვის შეინახონ, როცა ხელმისაწვდომი გახდება.
- **განახლება:** გატანის ვადის გახანგრძლივება, როცა სხვა მკითხველი არ ელოდება.
- **საცნობარო მასალები:** ბიბლიოთეკაში ადგილზე გამოსაყენებელი რესურსები, რომლებიც არ გაიცემა, მაგალითად ლექსიკონები და ენციკლოპედიები.
- **ფონდის განახლება:** მოძველებული, დაზიანებული ან ნაკლებად გამოყენებული ერთეულების რეგულარული ამოღება ფონდის აქტუალურობის შესანარჩუნებლად.
- **EAL (ინგლისური, როგორც დამატებითი ენა):** მხარდაჭერა მოსწავლეებისთვის, რომელთა პირველი ენა ინგლისური არ არის.
- **დონეების მიხედვით ადაპტირებული საკითხავი მასალა:** სირთულის კონტროლირებულ დონეზე დაწერილი წიგნები ენის შესწავლის მხარდასაჭერად.
- **მონაცემთა ბაზა:** სტატიების, წიგნებისა და კვლევების ონლაინ კრებული, რომელშიც მოსწავლეებს ძიება შეუძლიათ.
- **ციფრული წიგნიერება:** უნარები ონლაინ ინფორმაციის მოძიების, შეფასებისა და უსაფრთხოდ გამოყენებისთვის.
- **ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები:** ხელოვნური ინტელექტის პროგრამები, რომლებსაც შეუძლიათ ტექსტის ან გამოსახულების შექმნა; გამოყენება დასაშვებია მხარდაჭერისთვის, მაგრამ მითითება სავალდებულოა.

12. გამოყენებული ლიტერატურა

European School. *Academic Integrity Policy.* European School LLC, 2024.

European School. *Child Protection Policy.* European School LLC, 2024.

European School. "Definitions: Global Citizenship, Intercultural Learning, High-Quality Learning and Teaching, and Digital Citizenship." *European School,* 2024, europeanschool.ge/en/definitions/.

European School. "Our Mission, Vision, and Values." *European School,* 2024, europeanschool.ge.

European School. *Statute of the European School Library.* European School LLC, 2024.

European School Library. *European School Library.* 2024, esonlinelibrary.com/aboutlibrary/.

International Baccalaureate Organization. *Academic Integrity in the PYP.* International Baccalaureate Organization, 2023.

International Baccalaureate Organization. *Academic Integrity Policy.* International Baccalaureate Organization, 2019.